
სატრანსპორტო
ზონა 1 (ტზ-1)
N
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 1 (სსზ-1)
სარეკრეაციო
ზონა 2
(რზ-2)
1.5
სარეკრეაციო
ზონა 2
(რზ-2)
1254
39
ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
ხარვეზი
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 1 (სსზ-1)
3355
3.5
59
5.9
3.9
43
4.2
სარეკრეაციო
ზონა 2
(რზ-2)
1:500

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №2039

„12" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის", „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 27 ნოემბრის სხდომის №42 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=7,8.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი". ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE15LB0125152101629216.**

3.დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საქმის წარმოების განყოფილება №3

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №42

ქ. თბილისი 27 ნოემბერი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ხატისკაცი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე

კომისიის წევრები: ნინო ღოღობერიძე, გოჩა ბაბუნაშვილი, მალაზ მჭედლიშვილი, დიმიტრი მოსულიშვილი, ზაქარია ქურდიანი, ნუგზარ ხვედელიანი, ირაკლი ჩირაძე, ირაკლი მურღულია, მაკა შავიშვილი, ლევან ძაგნიძე, ირაკლი მასხარაშვილი.

მოწვეულები: თემურ კაციტაძე, მანანა სუხიტაშვილი, აკაკი ზერეკიძე, გიორგი გამყრელიძე, ვლადიმერ რობაქიძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ირინე ნუცუბიძე, ალექსანდრე სულავა, ვაჟა კასრელიშვილი, ვალერიან დუდუჩავა, ნოდარ რთველიაშვილი, ზაზა მაჭარაშვილი, ეკატერინე ხაჩიძე, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ კაპანაძე, ნათია ფერიაშვილი, სოფო გიგინეიშვილი, კარლო დოხნაძე, გიორგი ტაბატაძე, პაატა გუგუშვილი, ვასო გუნიავა, ლევანი ოქროპირიძე, ანზორ ცხოვრებაშვილი, ომარ ჯაფარიძე, გივი ჩოხელი, მერაბ ბოლქვაძე, ირაკლი კვარაცხელია, ედუარდ სანაია, ბაკურ მირიანაშვილი, გიორგი რუხაძე, ჯემალ ჩაჩუა, ნელი გვასალია, ლობა მოდრეკილაძე, ნინო ფარცხალაძე, თამარ მაჭავარიანი, გაიოზ ჭანკვეტაძე, ედუარდ მიქაძე, აბესალომ (თამაზ) შავგულიძე, კახა ლაბაძე, გურამ დათებაშვილი, მედეია ნებიერიძე, ვალერიან დუდუჩავა, მანანა მაჭარაშვილი, გიორგი ხიზანიშვილი, თამაზ არაბული, მამუკა კაპანაძე, თემური ამირანაშვილი, ზურაბ გიგაური, ლუარა ჯაჯია, დავით სარაჯიშვილი, დანიელი სარაჯიშვილი, თამრიკო სარაჯიშვილი, ნელა

07/12169-13

(მოწვეულები – ნათია ფერიაშვილი, სოფო გიგინეიშვილი, კარლო დოხნაძე).

11. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქ. №30/იოსელიანის ქ. №30–ის მომიჯნავედ აღმოსავლეთით/ახალშენის ქ. №13/ იოსელიანის ქ. №№34–32–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.17.044.030), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გიორგი ტაბატაძე, პაატა გუგუშვილი, ვასო გუნიავა).

12. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბურძგლას (ყოფ. შმიდტის) ქ. №18–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების მოკლების შესახებ.

(მოწვეულები – ლევანი ოქროპირიძე, ანზორ ცხოვრებაშვილი).

13. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქ. №71–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ომარ ჯაფარიძე, გივი ჩოხელი, მერაბ ბოლქვაძე, ირაკლი კვარაცხელია, ედუარდ სანაია).

14. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბერბუკის ქ. №10/პავლე ასლანიდის ქ. №№19–21–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ბაკურ მირიანაშვილი, გიორგი რუხაძე, ჯემალ ჩაჩუა, ნელი გვასალია).

15. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კობა მოდრეკილაძე).

16. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV და II მიკრორაიონს შორის, რთულ რელიეფზე (ნაკვ. №27)/ ნუცუბიძის ფერდობზე, IV და II მიკრორაიონს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.047), ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნინო ფარცხალაძე, თამარ მაჭავარიანი).

17. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, შორაპნის ქ. №28–ა–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბერბუკის ქ. №10/პავლე ასლანიდის ქ. №№19–21–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: **კ1=0,8, კ2=9,6.**

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 10, წინააღმდეგი: 3.

15. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – კობა მოდრეკილაძე. **AR1266056.**
დადგენილი პარამეტრები – **კ2=3,5.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ2=7,8.**

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილი მოცულობის კოეფიციენტი მიიღებს პრეცენდენტის სახეს და შექმნის სიმჭიდროვის პრობლემას არსებულ განაშენიანებაში.
- არ არის მისაღები. არ არის საკმარისი დასაბუთება თუ რატომ უნდა გაიზარდოს კ2 ამდენით, ასევე უნდა გაითვალისწინოთ არსებული ინფრასტრუქტურა, რომელიც არ არის გათვლილი ასეთ გადაჭარბებულ დატვირთვებზე, რომლებიც წარმოიშვება ამ კოეფიციენტის გაზრდით.
- მისაღებია.
- მისაღებია. ამ ეტაპზე კოეფიციენტის გაზრდა შესაძლებელია.
- არ არის მისაღები. თავისთავად 7,8 კოეფიციენტი შეუძლებელია იყოს ნორმებთან შესაბამისობაში.

- მისაღებია.
- არ არის მისაღები. დაუშვებელია სიმჭიდროვის ასიმეტრიულად განვითარება.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №20–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=7,8.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 5.

16. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV და II მიკრორაიონს შორის, რთულ რელიეფზე (ნაკვ. №27)/ ნუცუბიძის ფერდობზე, IV და II მიკრორაიონს შორის არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.02.010.047), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნინო ფარცხალაძე. AR1266196.
დადგენილი პარამეტრები – კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,5.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. არ საჭიროებს მომატებას.
- არ არის მისაღები. დასაბუთება არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი გრაფიკული მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე იქმნება შთაბეჭდილება, რომ არ საჭიროებს კ2-ის მომატებას. დაზუსტდეს მოთხოვნა, ასევე სავარაუდოდ შეუსაბამო ნაკვეთია.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს სრული დასაბუთება.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია სრული დასაბუთება.

მშენებლობის თანხმობა მოსარჩელე თეიმურაზ ლაშხის 2014 წლის 09 ოქტომბრის სარჩელთან დაკავშირებით (საქმე №3/3717-14), ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სასამართლოში წარმოდგენისა და მისი კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებამოსილების ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის სასამართლოსთან და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების იურისტის მარიამ ჯაშისთვის მინიჭებაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 12.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ხატისკაცი

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ოთარ ნემსაძე